საქართველო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
გრძანება №994

ქ. ფოთი „28" დეკემბერი 2015 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 3181.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.793) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების და ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებისა და ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის №27/110 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 3181.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.793) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე 3181.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.793) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **173000.00** (ასსამოცდაცამეტი ათასი) ლარით, ,,ბე" განისაზღვროს **34600.00** (ოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **17300.00** (ჩვიდმეტი ათას სამასი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2015 წლის 28 დეკემბრის 16:00 საათიდან 2016 წლის 12 იანვრის 16:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე" ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო უძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია წყალდაცვით ზოლში შემავალი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემისას დაიცვას ,,წყლის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 9. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია არ მოახდინოს საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მის მიმდებარედ გამავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ობიექტის (ხაზობრივი ნაგებობა) – სანიაღვრე არხის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.00.167) დაზიანება, ამოვსება ან რაიმე სახით არხში წყლის ნაკადის მოძრაობისათვის ხელის შეშლა, არხის კალაპოტის შემცირება, არხის ფუნქციონირების რაიმე სახით შეზღუდვა; ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სანიაღვრე არხის კიდიდან (ორივე მხარეს) 6 (ექვსი) მეტრში არ განათავსოს შენობა-ნაგებობა/შენობა-ნაგებობები, ხელი შეუწყოს და არ შეაფერხოს სანიაღვრე არხის მოვლა-პატრონობის/რეაბილიტაციის პროცესი და ამისათვის სანიაღვრე არხის მოვლა-პატრონობის/რეაბილიტაციის მომსახურე ფიზიკურ/იურიდიულ პირს ან/და შესაბამის უწყებას დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად მისცეს არხის მოვლა-პატრონობის/რეაბილიტაციის შესაძლებლობა, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დღე-ღამის ნებისმიერ დროს გაატაროს ისინი უსასყიდლოდ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, სანიაღვრე არხის მოვლა-პატრონობის/რეაბილიტაციის მომსახურე ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა ან/და შესაბამისმა უწყებამ გეგმიური სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში წინასწარ უნდა აცნობოს წერილობით ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს.

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანების მე-8 და მე-9 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ასევე: საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის ან/და მისი ნაწილის სხვა ნაკვეთთან გაერთიანების; საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის დაყოფის შედეგად მიღებულ მიწის ნაკვეთებზე; საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის ან/და მისი ნაწილის სხვა მესაკუთრეზე გასხვისების ან/და სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში.

მუხლი 11. წინამდებარე ბრძანების მე-8, მე-9 და მე-10 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას მოითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე" სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

1. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.
2. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 13. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო

ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423390 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან).

მუხლი 14. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ".

მუხლი 15. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge.

მუხლი 16. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე" www.eauction.ge და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poticity.ge.

მუხლი 17. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურმა, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poticity.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებამ.

მუხლი 18. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 19. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლიამ.

მუხლი 20. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 21. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი,
მერის მოვალეობის შემსრულებელი **ლევან ჩოჩია**

ბრძანება ეგზავნება: საქმისწარმოების განყოფილებას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს, ბატონ ნიკოლოზ გრიგოლიას.

შემსრ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების სამსახური